საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/560-18 "16" 02 2018 წ.

შპს „გეო ვლანს"

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2018 წლის 15 თებერვალს ჩანიშნული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომა გადატანილ იქნა 2018 წლის 22 თებერვალს, 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. N50/18. აღნიშნულ სხდომაზე განიხილება შპს „გეო ვლანისთვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე საკითხი, მის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის, კერძოდ, რეგულირების ყოველწლიური საფასურის გადაუხდელობის გამო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2018 წლის 6 თებერვალი. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, შპს „გეო ვლანს"-ს უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამასთან გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ კომპანიის წარმომადგენელი არ გამოცხადდება კომისიის სხდომაზე, კომისია საკითხს განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას მისი დასწრების გარეშე.

<u>დანართი:</u>

- კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2018 წლის 8 იანვრის N10/101-18 მოხსენებითი ბარათი - 2 ფურცელი;
- კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2018 წლის 15 თებერვლის N10/817-18 სამსახურებრივი ბარათი - 3 ფურცელი.

კომისიის აპარატის უფროსი იოსებ ხარებავა

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

ქ-ნ ე. ჯახრაკიას

გთხოვთ უზრუნველყოთ შესაბამისი
რეაგირების ორგანიზება

კ. ზექაური
08.01.2018

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის თავმჯდომარეს,
ბატონ კახი ბექაურს

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსის
ნათია დევდარიანის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო კახი,

გაცნობებთ, რომ კომისიის უწყებრივ რეესტრში რეგისტრირებული რიგი ავტორიზებული/ლიცენზირებული პირები არ ასრულებენ კანონისმიერ ვალდებულებებს, კერძოდ, გადასახდელი აქვთ რეგულირების საფასური და არ წარმოადგენენ რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1.9 ფორმას:

N	დასახელება	რეგულირების საფასურის დავალიანება (ლარი)	რეგულირების საფასურის გაანგარიშების ფორმა 1.9 წარმოუდგენლობა
1	შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-211352016	18 106,07	
2	შპს გეო ვლან-426518878	607,37	
3	შპს TV-XXI-245439164	388,03	2017 წლის ნოემბერი
4	შპს ოპტიმალნეთვორკ-438728325	300,84	2017 წლის ოქტომბერი, ნოემბერი
5	შპს ბრაო საგ-404505530	218,00	2017 წლის ოქტომბერი, ნოემბერი
6	შპს MINDA-445392138	175,75	2017 წლის ნოემბერი
	სულ	19 796,06	

გთხოვთ, წარმოდგენილი ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის გადასცეთ კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს.

დანართი 7 ფურცელი.

პატივისცემით,

ნათია დევდარიანი
08/01/2018

№ 10/101-18
08.01.2018

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

№ 02/[illegible]-17

"26" 12 2017 წ.

შპს „გეო ვლან"-ს

ს/კ - 426518878

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია გაცნობებთ, რომ 2017 წლის 24 დეკემბრის მდგომარეობით:

კომისიაში წარმოდგენილი რეგულირების საფასურის გაანგარიშების ფორმების შესაბამისად, გერიცხებათ რეგულირების საფასურის დავალიანება - 607.37 ლარი.

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად გევალებათ ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, კომისიის დადგენილებით დამტკიცებული ფორმით წარუდგინოთ კომისიას ინფორმაცია გაანგარიშებული რეგულირების საფასურის შესახებ და კომისიის ანგარიშზე ჩარიცხოთ რეგულირების საფასური.

გთხოვთ, 2017 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით კომისიის ანგარიშზე ჩარიცხოთ რეგულირების საფასური. წინააღმდეგ შემთხვევაში კომისია, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვალდებულია განიხილოს ავტორიზებული/ლიცენზირებული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის საკითხი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ინფორმაციის დაზუსტებისა და კონსულტაციის მიზნით დაუკავშირდით საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტელ: (032) 239 40 29.

კომისიის თავმჯდომარე

კახი ბექაური

თბილისი, 0144 ეროვნების ნაციონალების გამზ./ბოქაულაძის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ. ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის წამყვან სპეციალისტს,
ქალბატონ ნინო ამირიმეს

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის წამყვანი სპეციალისტის
ნატალია ჯანელიძის

სამსახურებრივი ბარათი

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2018 წლის 15 თებერვლის №შ-10/806-18 სამსახურებრივ ბარათთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შპს „გეო ვლანს", ამ დროის მდგომარეობით კომისიაში წარმოდგენილი აქვს 2017 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით რეგულირების საფასურის გაანგარიშების ფორმები და წარმოდგენილი ფორმების შესაბამისად კომისიის წინაშე მთლიანობაში გააჩნია რეგულირების საფასურის დავალიანება - 460.72 ლარი.

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია გაითვალისწინოთ საქმეში.

დანართი 1 ფურცელი, შპს „გეო ვლანის" ანგარიშის ბარათი.

პატივისცემით,

ნატალია ჯანელიძე
15/02/2018

№ შ-10/817-18
15 02 2018
1+2 ფურცელი

ანგარიშის ბარათი

ანგარიში 1412 2 250
დასახელება შპს გეო ვლან-426518878 -

ტიპი აქტ ვალუტა ნაერთი

სსიპ კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ბრუნვის პერიოდი: 1.05.2016 1.01.2020
პროექტი: მთ.წიგნი

თარიღი დოკ.	მოკ.ანგარიში მემორ	ბრუნვა ფინანს./ რაოდენ. დებეტი	ბრუნვა ფინანს./ რაოდენ. კრედიტი	ნაშთი ფინანს./ რაოდენ. დებეტი	ნაშთი ფინანს./ რაოდენ. კრედიტი	საფუძველი
1.05.2016 საწყისი				1,030.41		
11.05 2016	9115 2 შემოსავალი ტელე	15.08		1,045.49		რეგულირების საფასური 2016-აპრილი
14 06 2016	9115 2 შემოსავალი ტელე	15.08		1,060.57		რეგულირების საფასური 2016-მაისი
15.07.2016	9115 2 შემოსავალი ტელე	15.08		1,075.65		რეგულირების საფასური 2016-ივნისი
1.08.2016	1210 1 5 GE11TB060000000		557.65	518.00		რეგულირების საფასური
2.08.2016	9115 2 შემოსავალი ტელე	18.00		536.00		რეგულირების საფასური 2016-ივლისი
12.09.2016	9115 2 შემოსავალი ტელე	19.80		555.80		რეგულირების საფასური 2016-აგვისტო
10.10.2016	9115 2 შემოსავალი ტელე	14.25		570.05		რეგულირების საფასური 2016-სექტემბერი
10.11.2016	9115 2 შემოსავალი ტელე	14.25		584.30		რეგულირების საფასური 2016--ოქტომბერი
12.12.2016	9115 2 შემოსავალი ტელე	15.83		600.13		რეგულირების საფასური 2016-ნოემბერი
16 01.2017	9115 2 შემოსავალი ტელე	16.13		616.26		რეგულირების საფასური 2016-დეკემბერი
13 02 2017	9115 2 შემოსავალი ტელე	16.13		632.39		რეგულირების საფასური-2017-იანვარი
14 03 2017	9115 2 შემოსავალი ტელე	16.13		648.52		რეგულირების საფასური-2017--თებერვალი
9.04.2017	9115 2 შემოსავალი ტელე	17.18		665.70		რეგულირების საფასური-2017-მარტი
9.05 2017	9115 2 შემოსავალი ტელე	15.83		681.53		რეგულირების საფასური-2017-აპრილი
10 06 2017	9115 2 შემოსავალი ტელე	13.95		695.48		რეგულირების საფასური-2017-მაისი
8 07 2017	9115 2 შემოსავალი ტელე	13 95		709.43		რეგულირების საფასური-2017-ივნისი
5.08.2017	9115 2 შემოსავალი ტელე	13.95		723.38		რეგულირების საფასური-2017-ივლისი
7.08.2017	9115 2 შემოსავალი ტელე	30.38		753.76		რეგულირების საფასური-2013-ივლისი
6.09.2017	9115 2 შემოსავალი ტელე	13.65		767.41		რეგულირების საფასური-2017-აგვისტო
6 10 2017	9115 2 შემოსავალი ტელე	13.65		781.06		რეგულირების საფასური-2017-სექტემბერი
10 11.2017	9115 2 შემოსავალი ტელე	13.65		794.71		რეგულირების საფასური-2017-ოქტომბერი
4.12.2017	1210 1 5 GE11TB060000000		200.99	593.72		რეგულირების საფასური-ტერმინალებში მიღებული თანხა
13.12.2017	9115 2 შემოსავალი ტელე	13.65		607.37		რეგულირების საფასური-2017-ნოემბერი
12 01.2018	9115 2 შემოსავალი ტელე	13.35		620.72		რეგულირების საფასური-2017-დეკემბერი
13.02 2018	1210 1 5 GE11TB060000000		110 00	510.72		რეგულირების საფასური
15.02.2018	1210 1 5 GE11TB060000000		50.00	460.72		რეგულირების საფასური
1.01.2020 საბოლოო		348.95	918.64	460.72		

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წამყვან
სპეციალისტს ქ-ნ. ნ. ჯაფელიძეს

ამავე კომისიის აპარატის სამართლებრივი
დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტის ნ. ამირიძის

ს ა მ ს ა ხ უ რ ებ რ ი ვ ი ზ ა რ ა თ ი

ქალბატონო ნატალია,

გთხოვთ, გვაცნობოთ შპს „გეო ვლანს" დღეის მდგომარეობით ერიცხება თუ არა კომისიის წინაშე რეგულირების საფასურის დავალიანება.

პატივისცემით,

ნინი ამირიძე

15.02.2018

ფაქტობრივი №7-10/806-18
15.02.2018
1 ფურცელი